შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№20/23

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“(ID 202235296)
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„30“ იანვარი 2023წ

კონსტრუქციული დასკვნა

ქალაქი თბილისი, გაბარიონის ქუჩა №10, შ.პ.ს. „ტერა 2“-ის (ID: 405082618) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.10.18.001.014, მდებარე, მშენებარე IV კლასის კვების ობიექტის (კაფე, რესტორანი) შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტის (პროექტის) დარღვევით ნაწარმოებ სამშენებლო სამუშაოებზე და პროექტის დარღვევით აშენებული შენობის ნაწილების გათვალისწინებით, მშენებარე კვების ობიექტის შენობის (კაფე, რესტორანი) საერთო მდგრადობის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე, მშენებარე IV კლასის კვების ობიექტის (კაფე, რესტორანი) შენობას, შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტის (პროექტის) დარღვევით განხორციელებული მშენებლობის ვარგისიანობის, უსაფრთხოებისა და დარღვევების გათვალისწინებით განხორციელებული მშენებლობის, არსებული IV კლასის კვების ობიექტის (კაფე, რესტორანი) შენობის საერთო მდგრადობაზე ზეგავლენის დასადგენად.

ასევე განხილული იქნა IV კლასის კვების ობიექტის (კაფე, რესტორანი) შენობის შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაცია და კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა მშენებლობა.

სამშენებლო მოედანი ხასიათდება შემდეგი გეოფიზიკური და კლიმატური მონაცემებით:

- MSK 64 სკალის მიხედვით, ქალაქი თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას, ჰორიზონტალური აჩქარება A=0.17g;
- ქარის ნორმატიული დაწნევა 85 კგძ/მ^2;
- თოვლის საფარის დატვირთვა 50 კგძ/მ^2;
- საძირკვლების ფუძედ, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე მიღებულია ძველი ნაყარი გრუნტი, პირობითი საანგარიშო წინაღობით კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში: Ro=1,20კგძ/სმ^2; დეფორმაციის მოდულით: E=80კგძ/სმ^2.

არსებული შენობა გეგმაში რთული (მრავალკუთხედის) ფორმისაა. შენობის გაბარიტული ზომები ძირითად „1“-„8“ და „A“-„D“ ღერძებს შორის შეადგენს: 41,40X20,40მ. არსებული ნაგებობა ორსართულიანია, (ერთი მიწისზედა სართულით და სარდაფის ერთი სართულით. I სართულში, +3.20 ნიშნულზე, მცირე ნაწილში: „1“-„8“ და „C“-„D“ ღერძებს შორის გააჩნია ანტრესოლის სართული).
სარდაფის სართულის სიმაღლე შედგენს 3,20მ; I სართულის სიმაღლე უანტრესოლო ნაწილში შედგენს 5,90მ; შენობის მაქსიმალური მალი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 6,40მ. მაქსიმალური მალი განივი მიმართულებით შეადგენს: 16,00მ. კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა მონოლითური რკ/ბეტონის და ლითონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით.

შენობის პირობით ნიშნულს: ±0.00-ს (შენობის I სართულის იატაკის დონეს) შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული: +406,50მ.

არსებული მდგომარეობით, მშენებარე ობიექტზე დასრულებულია ძირითადი მზიდი კარკასის მოწყობის სამუშაოები. დარჩენილია რამოდენიმე კიბის, მოპირკეთების კარკასის, არამზიდი ელემენტების მოწყობის და მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

არსებული შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება

- საძირკვლები შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 50სმ, საძირკვლების ქვეშ გათვალისწინებულია ბეტონის მოსამზადებელი ფენა, სისქით 10სმ, B-10 კლასის ბეტონისაგან და 100სმ სისქის, შრეებად გატკეპნილი ბალასტის ბალიში.
- სვეტები შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 40X60სმ; 40X40სმ;
- სარდაფის კედლები შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან სისქით: 25სმ;
- რიგელები შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 40X60(h)სმ; 40X80(h)სმ 40X50(h)სმ და ორტესებრი პროფილის ლითონის კოჭებზე: HE1000B; IPE600;
- სართულშუა გადახურვების ფილები შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, კოჭოვანი ტიპის სახით, სისქით: 20სმ;
- კიბის უჯრედები შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან. კიბის პანდუსის ფილის სისქე შეადგენს 18სმ, კიბეების ნაწილი არ არის მოწყობილი;
- სახურავი არ არის მოწყობილი;
- კარკასის შემავსებელი კედლები და ტიხრები არ არის მოწყობილი;
- არსებული შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკ/ბეტონის და ლითონის სივრცული კარკასი, ხისტი კვანძებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, დადგენილებით სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე №003231, 17.10.2022წ. გამოვლინდა რომ, ობიექტის მშენებლობა განხორციელდა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 24 მარტის №5340746 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

„კერძოდ: ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტი ფორმა და რაოდენობა, კერძოდ დამატებით მოწყობილია კოლონები. „H“ ღერძის მიმდებარედ, „3-1“ მონაკვეთში მონოლითურ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი, რის გამოც შემცირებულია ფართი და შეცვლილია კიბის უჯრედის მდებარეობა. „1-2“ „H-G“ მონაკვეთში შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტი. „4-3“ მონაკვეთში „H“ ღერძის გარეთ შეცვლილია კიბის გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია რიგელების გაბარიტი. გეგმა -3.20 ნიშნული: „4“ ღერძზე „E-D“ და „G-F“ მონაკვეთებში გაუქმებულია ფანჯრის ღიობები. „A“ ღერძის გარეთ მონოლითური კედლებით დამატებით შექმნილია ფართი მონოლითური გადახურვით.

გეგმა ±0.00 ნიშნული: გაზრდილია სართულის სიმაღლე. გეგმა +3.20 ნიშნულის ზემოთ მონოლითური რიგელების ნაცვლად მოწყობილია ლითონის ორტესებრი კოჭები. გეგმა +3.20 ნიშნული: სახურავის პერიმეტრზე მოწყობილია მცირე ზომის ლითონის არმატურები.“

შეთანხმებული პროექტის ცვლილების არქიტექტურულ ნაწილში, ადრე შეთანხმებულ პროექტთან მიმართებაში შეცვლილია შენობის დაღერძვა, კერძოდ: „A“, „B“, „C“, „D“, „E“, „F“, „G“, „H“ ღერძები შეცვლილია შესაბამისად: „8“, „7“, „6“, „5“, „4“, „3“, „2“, „1“ ღერძებით, ხოლო „1“, „2“, „3“, „4“ ღერძები შეცვლილია შესაბამისად: „D“, „C“, „B“, „A“ ღერძებით.

მშენებარე ობიექტზე გამოვლენილი ყველა დარღვევა და ცვლილება, რომლებიც ეხება ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, გამოწვეულია დამკვეთის მოთხოვნით და შესაბამისად მისგან გამომდინარე კონსტრუქციული გადაწყვეტებით. მშენებარე ობიექტზე არსებული ყველა დარღვევა და ცვლილება, რომლებიც ეხება ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, გათვალისწინებული იყო პროექტის კორექტირებულ კონსტრუქციულ ნახაზებში. მშენებარე შენობაში უკვე ნაწარმოები ცვლილებები შესრულებულია ადრე დაკორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნახაზების შესაბამისად და ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგების გათვალისწინებით.

დასკვნა

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე შ.პ.ს. „ბაზისი XXI“ ადგენს რომ, ქალაქ თბილისში, გაგარინის ქუჩა №10, შ.პ.ს. „ტერა 2“-ის (ID: 405082618) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.10.18.001.014, მდებარე, მშენებარე IV კლასის კვების ობიექტის (კაფე, რესტორანი) შენობის შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტის (პროექტის) დარღვევით აშენებული ნაწილები (მზიდი კონსტრუქციები) მათი საერთო მდგრადობის თვალსაზრისით აკმაყოფილებენ მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს, სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია ხარისხიანად.

ექსპერტიზა დადებით შეფასებას აძლევს მშენებარე IV კლასის კვების ობიექტის (კაფე, რესტორანი) შენობის შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტის (პროექტის) დარღვევით აშენებულ ნაწილებს, მიაჩნია, რომ ისინი აკმაყოფილებენ ნაგებობის საერთო მდგრადობის პირობებს და ვარგისი არიან მშენებლობის გაგრძელებისა და შემდგომში შენობის ხანგრძლივი, უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი, კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე/

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე, გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე, , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ჯაბგარიძე

ვახტანგ ალექსანდრის

მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა

სახელმწიფო ორდენოსანი ლენინის

პოლიტექნიკური ინსტიტუტის

და 1985 წელს დამთავრა

ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით მშენებლობის

და სამრეწველო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ. მაისის

„ 3 " დადგენილებით

ვ. ჯაბგარიძეს მიენიჭა

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986 წ. „ 29 " 05

1976

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан Джапаридзе

Вахтангу Александровичу

в том, что он в 1980 году поступил

в Грузинский политехнический

институт им. В.И. Ленина

и в 1985 году окончил полный курс

института

по специальности промышленное

и гражданское

строительство

Решением Государственной экзаменационной

комиссии от 3 1985 г.

присвоена квалификация инженера

Председатель Государственной экзаменационной комиссии

М. П. Город Тбилиси „29" 05 1986 г.

1976





ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ“-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ საკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა“-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ“-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი“-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი“-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS“-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი №01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/

შპს „ბაზისი XXI“ 202235296 GEORGIA „BAZISI XXI“ LTD

შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	შ.პ.ს. „ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	36 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	21 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2021წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	30.01.2023წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება

მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი



ვახტანგ ჯაფარიძე

სახელმწიფო ლიცენზია

სლს № 4127

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განხორციელებაზე

ძალევა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „ბაზისი XXI"

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის № 63-ა

მასზედ, რომ მას აქვს უფლება განახორციელოს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა დანართში მოცემულ სახეობებში.

ლიცენზია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე

განსაკუთრებული პირობები

ლიცენზიის მოქმედების ვადა

ლიცენზია გაცემულია 11122004წ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე, სპეციალიზებული მუდმივმოქმედი სალიცენზიო-სანებართვო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ლეჟავა

საქართველო. შპს „ბაზისი XXI". GEORGIA. "BAZISI XXI" LTD 202235296

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაზე
№4177 სახელმწიფო ლიცენზიის
დანართი

ჩამონათვალი

საპროექტო – სამშენებლო საქმიანობის სახეებისა,
რომელთა განხორციელების უფლება ეძლევა
შპს-ს „ბაზისი XXI“

1. *საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაპროექტება (მ.შ. ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და რეკომენდაციების დამუშავება):*
   - საცხოვრებელი შენობები:
   ბ. ხუთსართულიანი (მანსარდის ჩათვლით);
   - საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები:
   ბ. ხუთ სართულამდე ან 18 მ. სიმაღლის და დახურული საშუალო სირთულის კონსტრუქციის დარბაზები.
2. *სამრეწველო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობათა დაპროექტება:*
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;
   - სამრეწველო ობიექტები:
   ა. მცირე სიმძლავრის.
3. *პროექტების ექსპერტიზა:*
   - საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები.
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;

გაცემულია 2004 წლის 14 დეკემბერს.

სპეციალიზებული მუდმივმოქმედი
სალიცენზიო-სანებართვო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ალბერტ ჯანელიძე

საქართველო. შპს "ბაზისი XXI" GEORGIA. "BAZISI XXI" LTD 202235296